ვირთაგვების საკვებმოპოვების ქცევის ალგორითმული აღწერა

სულხან ცაგარელი
ელ-ფოსტა: sulkhan.tsagareli@tsu.ge
ბიოლოგიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 2, 0143, თბილისი

მოხსენებაში განხილული იქნება ვირთაგვებში პირდაპირი და არაპირდაპირი დაყოვნებული რეაქციების ჩატარების მოდიფიცირებული მეთოდი. მოდიფიცირებული მეთოდი საშუალებას იძლევა დავადგინოთ ცხოველებში იმპლიციტური და ექსპლიციტური მეხსიერების მაქსიმალური ხანგრძლიობა.

შესაძლებელია აგრეთვე დავაკვირდეთ ვირთაგვებს დაყოვნებამდელ ქცევაში, ორი საკვებურის პირობებში როგორ სწავლობენ საკვების მოპოვებას. საკვების მოპოვების სამი ვარიანტი არსებობს. პირველი - როდესაც ცხოველი მიდის საჭმლიან საკვებურთან და ჭამს. შემდეგ მიირბენს ცარიელ საკვებურთან, არ ჭამს და თვითონ ან ექსპერიმენტატორი აბრუნებს სასტარტო განყოფილებაში. მეორე - როდესაც ცხოველი მიირბენს ცარიელ საკვებურთან, აკეთებს კორექციას, მირბის მეორე საჭმლიან საკვებურთან, ჭამს და ბრუნდება ან ვაბრუნებთ სასტარტო განყოფილებაში. მესამე - როდესაც ვირთაგვა ერთი საკვებურიდან იღებს საკვებს.

საკვებმოპოვების ქცევა აღიწერება ალგორითმულად. დადგენილი იქნება ქაოსური ალგორითმი როგორ ყალიბდება სწორ ალგორითმად. ხდება დასწავლა. დადგენილი იქნება ცხოველის მიერ განხორიელებული ის აქტიური დრო, რომელიც საჭიროა ათი სინჯის შესრულებისთვის.